# ოქმი N 11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 24 ნოემბერი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

1. ტარიელ ალექსანდრია
2. იგორ გოგოლაძე
3. გენადი ზარანდია
4. ვასილ კუკავა
5. კახა ლატარია
6. როსტევან გვარამია
7. ჯემალი ნადარაია
8. კახა მიქაბერიძე
9. მალხაზ ლაგვილავა
10. გენადი ქაძანაია
11. მერაბ ნადარაიზ

სხდომას თავმჯდომარეობდა ტ. ალექსანდრია - კომისიის თავმჯდომარე

**დღის წესრიგი:**

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩოკორაიას 2015 წლის 17 ნოემბრის N04/1901 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში).
(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 13 ნოემბრის N04/1888 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე).
(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე -11, წინააღმდეგი - არც ერთი**
**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

## დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩოკორაიას 2015 წლის 17 ნოემბრის N04/1901 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს:** მომხსენებელმა განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოადგინა 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ 2015 წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 10239,1 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 10275,6 ათასი ლარი შეადგინა. 2015 წლის ბიუჯეტის 10 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 63,7%-ით, აქედან საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 4000.0 ათასი ლარიდან შემოსულია 1108,4 ათასი ლარი (26,3%), გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმიური 5559,7 ათასი ლარიდან მიღებულია 4780,0 ათასი ლარი (86%). სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 475,8 ათასი ლარიდან შემოსულია 494,5 ათასი ლარი (103,9%). შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 203,6 ათასი ლარიდან შემოსულია 136,1 ათასი ლარი (66,8%). ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი იანვარ-ოქტომბრის თვის შესრულების მიხედვით ათვისებულია 64,7% (გეგმა 10275,6 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 6649,8 ათასი ლარი). მიმდინარე წლის 10 თვის შემოსულობების 100% ათვისებულია.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით ბიუჯეტის იანვარ-ოქტომბრის ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე -11, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ბიუჯეტის 10 თვის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 13 ნოემბრის N04/1888 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარ

**მოისმინეს:** 2016 წლის შემოთავაზებული ვარიანტით ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განსაზღვრულია 6601,6 ათასი ლარით, მათ შორის საგრანტო შემოსავლების ხარჯზე მოდის 2347,7 ათასი ლარი, გადასახადები 3450,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 424,6 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 379,3 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით საშემოსავლო ნაწილი გაზრდილია 177,4 ათასი ლარით, გადასახადები შემცირებულია 550,0 ათასი ლარით, საგრანტო შემოსავლები გაზრდილია 575,9 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 6410,6 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1789,4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1017,6 ათასი ლარი, სუბსიდიები 3084,1 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 423,2 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 188,3 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა -337,9 ათასი ლარით. აქედან: ზრდა 41,4 ათასი ლარი, კლება -379,3 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 149,6 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 6601,6 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები - 6410,6 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 41,4 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება - 149,6 ათასი ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** ტ. ალექსანდრიამ - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს შემდეგი სახის კორექტირება: საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს სახელფასო განაკვეთი განესაზღვროს 1500 ლარის ოდენობით, დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებები) – 500 ლარის ოდენობით. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს 1800 ლარის ოდენობით. დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი) 800 ლარის ოდენობით. მთავარი სპეციალისტების სახელფასო სარგო განისაზღვროს 820 ლარის ოდენობით, რაც არის 32%-იანი ზრდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გამონთავისუფლებული თანხა ჯამში შეადგენს 10200 ლარს. აღნიშნული თანხა, 10200 ლარი, მიიმართოს გამგეობის სპეციალისტების სახელფასო განაკვეთის ზრდაზე და განესაზღვროს 580 ლარის ოდენობით ნაცვლად 550 ლარისა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის კორექტირებული ვარიანტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე -10, წინააღმდეგი - 1**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი და კომისიის მიერ შემუშავებული წინადადებები წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ტ. ალექსანდრია